დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარინე თოიძე

კარდიოვასკულური დაავადებებისა და მათი რისკ ფაქტორების გავრცელება საქართველოს მოსახლეობაში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი 2019

ნაშრომი შესრულებულია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტისა და სს“საჩხერის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების“ ბაზაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ნინო თაბაგარი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

გიორგი ფხაკაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

ოფიციალური ექსპერტები/ოპონენტები:

ზურაბ ფაღავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნ. ბოხუას სახ. კარდიოვასკულური ცენტრის, კარდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ქეთევან ჯანაშია, მედიცინის დოქტორი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი

ეკატერინე სანიკიძე, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის ---------- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში (0159, თბილისი, ლუბლიანას ქუჩა 2/6).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2019 წლის----------იანვარს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

მედიცინის დოქტორი **თამარ თალაკვაძე**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა

სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში სიკვდილობის მთავარი მიზეზი (31%) არის კარდიოვასკულური დაავადებები. მათი 37% კორონარული დაავადებით არის გამოწვეული. ციფრებში რომ გადავიყვანოთ, ეს არის წელიწადში კორონარული დაავადებებით გამოწვეული 7,4 მლნ სიკვდილი და ინსულტით გამოწვეული 6,7 მლნ სიკვდილი. კარდიოავასკულური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის ხარისხი სხვადასხვაგვარია განვითარებულ, ინდუსტრიულსა და განვითარებად ქვეყნებში. კერძოდ, ის შედარებით დაბალია განვითარებულ ქვეყნებში და მაღალია დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში.

საქართველოს სტატისტიკა ამ მხრივ არ არის დამაიმედებელი. ჯანმოს მონაცემებით, საქართველოში გულის იშემიურ დაავადებაზე მოდის საერთო სიკვდილობის 36%, ხოლო ინსულტზე - 23% (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1. კარდიოვასკულური დაავადებების გავრცელება მსოფლიოს ქვეყნებში



რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა კარდიოვასკულური რისკების შესაფასებლად დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში. კვლევაში მონაწილეობდა რვა ქვეყანა-ნიგერია, ირანი, ჩინეთი, პაკისტანი, საქართველო, ნეპალი, კუბა და შრი-ლანკა. ამ ქვეყნებში არ არის კარდიოვასკულური რისკის შესაფასებელი ადგილობრივი სისტემები და კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო ჯანმო/ჰსს კვდ რისკის შეფასების სისტემის ვალიდაცია ამ ქვეყნებისთვის. მონაწილე ქვეყნებში კორონარული დაავადებების რისკი შეფასდა დაავადების გამო დაკარგული სიცოცხლის წლების მიხედვით (DALY – disability-adjusted life years), რაც აღმოჩნდა მნიშვნელოვნად ვარიაბელური მონაწილე ქვეყნებს შორის, კერძოდ, კორონარული DALY აღმოჩნდა 9-ზე ნაკლები ჩინეთსა და შრი ლანკაში და 20-29 საქართველოში. ინსულტის DALY აღმოჩნდა 9-ზე ნაკლები კუბაში და15-19 საქართველოში.

საქართველოს მოსახლეობის კარდიოვასკულური რისკები აღმოჩნდა თითქმის ყველაზე მაღალი მონაწილე ქვეყნებს შორის. უზმოდ გლიკემიის დონე ≥7მმოლ/ლ აღმოაჩდა მონაწილეთა 11,2%, რაც ყველაზე მეტია პაკისტანისა და ირანის შემდეგ,

ხოლო უზმოზე ქოლესტეროლის მაღალი დონე ≥6მმოლ/ლ აღმოაჩნდა საქართველოდან მონაწილეთა 29,9%, ანუ, თითქმის მესამედს, რაც საგანგაშო მაჩვენებელია, რადგან მონაწილე ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია. ასევე, საგანგაშო აღმოჩნდა საქართველოს მაჩვენებელი არტერიული წნევის მონაცემების მიხედვითაც. კერძოდ, სისტოლური წნევა ≥140 მმ. ვწყ. სვ და დიასტოლური წნევა ≥90 მმ. ვწყ. სვ აღმოაჩნდა, შესაბამისად, მონაწილეთა 52,5% და 46,2%. რაც ქოლესტეროლის მსგავსად, ყველაზე მაღალია კვლევაში მონაწილე ქვეყნებს შორის. კიდევ უფრო საგანგაშო ფაქტია რომ სიმსუქნე, ანუ სხეულის მასის ინდექსი (BMI) ≥30 აღმოაჩნდა საქართველოდან მონაწილეთა 56,6%.

ამ მონაცემების საფუძველზე, აქტუალურად ჩაითვალა საქართველოს მოსახლეობაში კვდ რისკების გავრცელების უფრო ღრმა შესწავლა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსგავსი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა და ეს არის პირველი შემთხვევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები

1. კვდ რისკის შეფასება, რისკ-ფაქტორების პრევალენტობა და ჯანმო/ჰსს რისკის ჯგუფებად გადანაწილება პირველადი კვდ რისკის საქართველოს პოპულაციაში.
2. კვდ რისკ-ფაქტორების პრევალენტობის შესწავლა
3. ჯანმო/ჰსს რისკ-ჯგუფებში საქართველოს პოპულაციის გადანაწილება
4. კვდ დამატებითი რისკ-ფაქტორების შესწავლა
5. ჯანმო/ჰსს რისკ-ჯგუფებში დამატებითი რისკ-ფაქტორების გადანაწილება

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ეს კვლევა არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხდება კვდ რისკების პრევალენტობის შესწავლა საქართველოს პოპულაციაში; პირველად ხდება დამატებითი კვდ რისკ ფაქტორების შეფასება და ასევე, პირველად ხდება კვდ რისკების დამოკიდებულების შესწავლა სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიმართებაში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ და დარგის მარეგულირებელ ორგანიზაციათა მხრიდან ნაშრომის შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს საქართველოს მოსახლეობის კარდიოვასკულური ავადობისა და სიკვდილობის მაჩვენებლებზე. დასკვნები მნიშვნელოვანია როგორც პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე ექიმების ყოველდღიურ პრაქტიკაში, ასევე ჰოსპიტალურ სექტორში მოღვაწე ჯანდაცვის მუშაკებისთვის.

ასევე, საყურადღებოა, რომ მაღალი რისკის კონტიგენტის ადრეულ მკურნალობაზე გაწეული დანახარჯები მნიშვნელოვნად დაზოგავს მათ ჰოსპიტალურ დანახარჯებს და ეს იმის ფონზე, რომ გამოსავალი გაცილებით შედეგიანი იქნება.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შედგა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში 2018 წლის 16 ოქტომბერს (ოქმი N 16.10.18.).

სადისერტაციო მასალები და შედეგები მოხსენებულ იქნა

- მე-6 საერთაშორისო პოსტდიპლომური განათლების კონფერენციაზე; კრალოვი (ჩეხეთის რესპუბლიკა) 2009წ. წ;
- პირველადი ჯანდაცვის I საერთაშორისო კონფერენციაზე -თბილისი 2016 წ;
- პირველადი ჯანდაცვის II საერთაშორისო კონფერენციაზე - თბილისი 2017წ.

სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი, სადაც სრულად არის ასახული დისერტაციის ძირითადი შედეგები და შეესაბამება აკადემიური ხარისხების მინიჭების დებულებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებს.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია შედგება 8 ნაწილისგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, კვლევის შედეგები, შედეგების განხილვა, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს 99 გვერდს, ილუსტრირებულია 4 დიაგრამით, 3 გრაფიკითა და 15 ცხრილით. ნაშრომს ახლავს 3 დანართი. ლიტერატურის სია მოიცავს 145 წყაროს.

კვლევის მასალა და მეთოდები

ჩატარდა ჯვარედინ-სექციური კვლევა 40-70 წლამდე ასაკის 1196 ინდივიდზე, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, პოპულაციით 60 000.

კვლევის ანალიზის ამ ნაწილიდან გამოეთიშა ის მონაწილეები, ვისაც უკვე დიაგნოსტირებული ქონდა რომელიმე კარდიოვასკულური დაავადება და საბოლოო ჯგუფი (კვდ პირველადი რისკის ჯგუფი) მოიცავდა 900 მონაწილეს. პოპულაციის დახასიათება მოცემულია ცხრილი 1-ში.

რეგიონის ჯანდაცვას ახორციელებს საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება, 150 საწოლიანი პოლიპროფილური ჰოსპიტლით და რვა სოფლის ამბულატორიით. პოპულაცია შერჩეული იქნა რანდომულად, გამოყენებული იქნა კომლის მიმოხილვის ტექნიკა, კერძოდ, კლასტერული შერჩევა. დატრენინგდა 25 ჯანდაცვის მუშაკი - 17 ოჯახის ექიმი, 5 კარდიოლოგი და სამი ექთანი. ექიმებს ჩაუტარდათ ტრენინგი, თუ როგორ მოეპოვებინათ პაციენტისგან ინფორმირებული თანხმობა. ექთნის მოვალეობაში შედიოდა სისხლის აღება ანალიზებისთვის, წნევის გაზომვა და ეკგ გადაღება.

ინფორმაცია შევიდა სპეციალურ ფორმაში (დანართის სახით ახლავს სადისერტაციო ნაშრომს), რომელიც მოწოდებული იყო WHO-ს მიერ და შექმნილი იყო სპეციალურად ამ კვლევისთვის. ფორმა მოიცავდა შემდეგ მონაცემებს: დემოგრაფიული (ასაკი, სქესი), სოციალურ-ეკონომიკური (განათლება, ოჯახის წევრების რაოდენობა, დასაქმება ბოლო 12 თვის განმავლობაში, შემოსავალი აშშ დოლარებში, საკუთრებაში ტრანსპორტის არსებობა), ანთროპომეტრიული მონაცემები (სიმაღლე, წონა, წელისა და თეძოს გარშემოწერილობა), ასევე, დაფიქსირდა ინფორმაცია სიგარეტის მოხმარების შესახებ.

კვლევის მონაწილე უნდა ყოფილიყო უზმოდ (არაფერი წყლის გარდა წინა 12 საათის განმავლობაში). მას ნახულობდა ექიმი და უტარდებოდა სკრინინგი. ექიმი აფასებდა პაციენტს ანამნეზის მიხედვით, ანუ, ქონდა თუ არა გადატანილი სტაბილური, ან

არასტაბილური სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი, ტრანზიტორული იშემიური შეტევა, პერიფერიული ვასკულური დაავადება. გროვდებოდა ინფორმაცია თამბაქოს მოხმარების შესახებ, ოჯახური ანამნეზი კარდიოვასკულური დაავადებების შესახებ. არტერიული წნევის გაზომვა ვერცხლისწყლიანი სფიგმომანომეტრით მარცხენა მკლავზე 5 წუთიანი მოსვენების პერიოდის შემდეგ მჯდომარე მდგომარეობაში. სისტოლური და დიასტოლური წნევის გაზომვა ხდებოდა შესაბამისად, კოროტკოვის ტონების პირველ და მეხუთე ფაზებში. გაზომვა ხდებოდა ორჯერ, 10 წუთის ინტერვალით. მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა მეორე მონაცემი. ეკგ გადაღებულ იქნა მორტარას 12 განხრიან აპარატზე (ELI 250C), 0,05Hz და 300 Hz სიხშირეთა დიაპაზონით.

სხეულის მასის ინდექსი (BMI) დათვლილი იქნა მასის (კგ) შეფარდებით სიმაღლის (მ) კვადრატთან. სხეულის მასის ინდექსის (BMI) მიხედვით კატეგორიზაცია მოხდა შემდეგნაირად - ნორმა (<24), ჭარბი წონა(24-30) და სიმსუქნე (>30). გაიზომა წელისა და თეძოს გარშემოწერილობა და შემდეგ, წელისა და თეძოს გარშემოწერილობის თანაფარდობით განისაზღრა აბდომინალური სიმსუქნის ხარისხი. აბდომინალურ სიმსუქნედ ჩაითვალა წელისა და თეძოს თანაფარდობა (WHR) >0,8 ქალებში და >0,9 მამაკაცებში. წელისა და თეძოს თანაფარდობა (WHR) განისაზღვრა როგორც კარდიოვასკულური დაავადების უკეთესი პრედიქტორი, ვიდრე მხოლოდ წელის გარშემოწერილობა.

მოწმდებოდა, კვლევის მონაწილე იყო თუ არა უზმოდ, და ამის შედეგ ხდებოდა საანალიზოდ 5 მლ ვენური სისხლის აღება. სისხლში გლუკოზა და ლიპიდური სპექტრი გაიზომა ბიოქიმიურ ანალიზატორზე "COBAS INTEGRA® 400 პლუსი" (როშე დიაგნოსტიკა, გერმანია 2007). გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: ა. საერთო ქოლესტეროლის რაოდენობრივი განსაზღვრა შრატსა და პლაზმაში ენზიმური კოლორიმეტრიული მეთოდით. გაზომვის ინტერვალი 0,1-20,7 მმოლ/ლ (3,87-800მგ/დლ). NCEP-ის მოზრდილთა რეკომენდაციების მიხედვით გამოყენებული იქნა შემდეგი ზღვრული ნორმები: სასურველი ქოლესტეროლის

დონე <5,2მმოლ/ლ (<201მგ/დლ); საშუალო-მაღალი დონე 5,2-6,2 მმოლ/ლ (200-400მგ/დლ); მაღალი ქოლესტეროლი ≥6,2მმოლ/ლ (240 მგ/დლ). და ბ. პლაზმაში და შრატში გლუკოზის რაოდენობრივი განსაზღვრა COBAS INTEGRA-ს სისტემაზე ენზიმური ჰექსოკინაზას რეფერენს მეთოდით. განსაზღვრის ინტერვალი 0,24-40მმოლ/ლ (4,32-720მგ/დლ) STAT აპლიკაცია 0,24-30 მმოლ/ლ (4,32-541 მგ/დლ). დიაბეტად ჩაითვალა გლუკოზა უზმოზე ≥7 მმოლ/ლ (ან როცა პაციენტის გადმოცემით, იმყოფებოდა ჰიპოგლიკემიურ მკურნალობზე).

კარდიოვასკულური რისკების განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და ჰიპერტენზიის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ WHO/ISH ერთობლივად მოწოდებული ცხრილები. აღნიშნულ ცხრილებში რისკები განისაზღვრება შემდგეგი მონაცემებით: ასაკი (1:40-49; 2. 50-59; 3:60-69; 4:70 და ზემოთ); სქესი (0: მამაკაცი; 1: ქალი), მწეველობა (0: არამწეველი; 1: მწეველი, ან დაანება მოწევას<12 თვე), სისტოლური არტერიული წნევა (1 : <140 mm Hg; 2 : 140 -დან <160; 3 : 160 -დან <180; 4 : ≥180), ქოლესტეროლის კონცენტრაცია სისხლში (4 : TC, <5 mmol/ L; 5 : TC, 5 -დან <6; 6: TC, 6 -დან <7; 7 : TC, 7 -დან <8; 8 : TC, 8 და ზემოთ) და დიაბეტის არსებობა, ან არარსებობა (0: კი, გლუკოზა უზმოზე ≥7 მმოლ/ლ, 126 მგ/დლ; 1 : არა, როდესაც გლუკოზა უზმოზე <7 მმოლ/ლ). არსებული რისკის შეფასების ცხრილების ორი ჯგუფიდან (ერთი, სადაც შედის ქოლესტეროლი და გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ქოლესტეროლის გაზომვა ხელმისაწვდომია და მეორე, ქოლესტეროლის გარეშე, რომელიც გამოსადეგია იმ შემთხვევებში, სადაც ქოლესტეროლის გაზომვა არ არის ხელმისაწვდომი). ჩვენი კვლევისთვის გამოვიყენეთ ცხრილები, სადაც შედის ქოლესტეროლის მონაცემიც. ცხრილებში მოცემულია მტკიცებულებებზე დაყრდნობილი რეკომენდაციები სპეციფიურ პრევენციულ ღონისძიებებზე და ასევე, მათი დაწყების დრო, ინტენსივობა და მიზნობრიობა. ამის მიხედვით გამოყოფილია რისკის კატეგორიები, რომელიც გვიჩვენებს ინდივიდის 10%-იან რისკს, განუვითარდეს ძირითადი კარდიოვასკულური ფატალური, ან არაფატალური გართულებები უახლოესი 10

წლის განმავლობაში, და გვიჩვენებს, როგორია ამ გართულებების განვითარების ალბათობა - 10%-ზე ნაკლები, 10%-<20%, 20%-<30%, 30%-<40%, თუ ≥40%.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა სამი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი, რის შესახებ ინფორმაციაც მოპოვებული იქნა კვლევის მონაწილეებისგან: განათლების დონე, დასაქმება, შემოსავალი. განათლების ცვლადი დაიყო შედეგ კატეგორიებად: 8 კლასი და ნაკლები (საშუალო განათლების საერთოდ არქონა, ან 1-8 წლამდე განათლება); საშუალო და საშუალო პროფესიული (საშუალო -პროფესიული); უმაღლესი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ზემოთ). შემოსავლების ცვლადში განისაზღვრა ინდივიდის ოჯახური შემოსავალი და გამოიყო შემდეგი ჯგუფები: შემოსავლის გარეშე (0-30$), მინიმალური (30$), დაბალი (60$), საშუალო (120$) და მაღალი(>120$) შემოსავლის მქონე ჯგუფები. დასაქმების ცვლადი დაკომპლექტდა შემდეგი ჯგუფებისგან: დაუსაქმებელი, პენსიონერი, ფერმერი/გლეხი, საჯარო მოხელე, კერძო სექტორში დასაქმებული. კვლევის ფარგლებში გამოკვლეული იქნა ხუთი ძირითადი კარდიოვასკულური რისკ-ფაქტორი: სიმსუქნე, თამბაქოს მოხმრება, ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი და საერთო ქოლესტეროლი.

ვიზიტის დროს მონაწილეები გამოიკითხნენ სპეციალური კითხვარის მიხედვით, რაც იძლეოდა საშუალებას განგვესაზღვრა კარდიოვასკულური დაავადებების არსებობის სიმპტომები და ნიშნები. კითხვები იყო სტანდარტიზებული. კორონარული დაავადებების შესაფასებლად ექვსი კითხვა, ტრანზიტორული იშემიური შეტევის გადატანის შესაფასებლად ერთი შეკითხვა, პერიფერიული არტერიული დაავადების არსებობის შესაფასებლად სამი შეკითხვა. მონაწილეები გამოიკითხნენ კარდიოინტერვენციის ჩატარების შესახებ (სამი კითხვა) - ჩატარებული აქვს თუ არა პერკუტანეური ტრანსლუმინური კორონარული ანგიოპლასტიკა (PTCA), კორონარული არტერიების შუნტირება (CABG), კორონარული ენდარტერექტომია (CEA). კვლევის მონაწილეებს ასევე მოეთხოვათ წარმოედგინათ სამედიცინო დოკუმენტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ფორმა

100, რეცეპტი, სხვა სახის დანიშნულება), რის მიხედვითაც უკეთ შეფასდა მათი კარდიოვასკულური ანამნეზი.

სტატისტიკური ანალიზი

კარდიოვასკულური რისკების გადანაწილების შეფასებისას ფოკუსირება მოხდა 5 მთავარ რისკ ფაქტორზე, როგორებიც არის ასაკი, სისტოლური წნევა, მწველობის სტატუსი, დიაბეტი და საერთო ქოლესტეროლის მაჩვენებლი. ჩატარდა აღწერილობითი სტატისტიკური ანალიზი, რისთვისაც გამოყენებული იქნა IBM SPSS მე-13 ვერსია. მონაცემები შეფასდა WHO/ISH მიერ მოწოდეული რისკის შეფასების ცხრილების მიხედვით, სადაც საქართველო მიეკუთვნება ევრო-B ზონას. აღნიშნული ანალიზის ჩატარებისას საკვლევი პოპულაციიდან შეფასდა მხოლოდ ის ნაწილი, რომელთაც ჯერ არ ქონდათ განვითარებული ესა თუ ის კარდიოვასკულური გართულება, ანუ, შეფასდა პირველადი რისკის პოპულაცია. ხოლო ისინი, ვისაც უკვე დადასტურებული ქონდა დაავადება, არ იქნა შეყვანილი აღნიშნულ ანალიზში.

შემდგომ ეტაპზე გაანალიზდა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა და მათი გამოსავლების გადანაწილება მთელს საკვლევი პოპულაციაზე. ანალიზი ჩატარდა IBM SPSS 24-ე ვერსიის გამოყენებით. პირველ რიგში განისაზღვრა ცვლადების გადანაწილების სიხშირე. პოტენციური სოციალურ-ეკონომიკური რისკ ფაქტორების და მათი გამოსავლების გადანაწილება შეფასდა ლოჯისტიკური რეგრესიის მეთოდით. კვლევის მონაწილეებში კარდიოვასკულური დაავადებების 10%-ზე მეტი რისკის განსაზღვრა უახლოესი 10 წლის განმავლობაში მოხდა WHO/ISH რისკის ცხრილებით. ასოციაცია შეფასდა შანსების თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდით, ნდობის ინტერვალი (CI) 95%. ლოჯისტიკური რეგრესიის მეთოდში გამოყენებული ცვლადები არჩეული იქნა უნივარიაბელური ანალიზით გამოვლენილი ასოციაციების მნიშვნელობების გათვალისწინებით. საბოლოო ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზის მოდელში არ შევიყვანეთ ის ცვლადები, რომლებიც დეფინიციის მიხედვით შედიოდა კარდიოვასკულური რისკის კალკულატორში (დიაბეტი, მწეველობა, მაღალი ქოლესტეროლი, ასაკი და სისტოლური წნევის მაჩვენებელი),

რის შედეგადაც გამოვლინდა სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან ასოცირებული რისკ-ფაქტორების გადანაწილება საკვლევ პოპულაციაში.

კვლევის შედეგები და ანალიზი

1.1. კარდიოვასკულური რისკის შეფასება და რისკ-ფაქტორების გადანაწილება საქართველოს მოსახლეობაში WHO/ISH რისკის შეფასების სისტემის მიხედვით

1.1.1. კვდ ფაქტორების განაწილება ქართულ პოპულაციაში

WHO/ISH რისკის შეფასების სისტემის მიხედვით შესწავლილი (გამოკითხული და გამოკვლეული) იქნა 40-70 წლამდე ასაკის 1196 პირი. კვდ პირველადი რისკის ჯგუფში ჩასართავი კრიტერიუმები დააკმაყოფილა 900-მა მონაწილემ. საკვლევი ჯგუფის ამ ქვეჯგუფის (პირველადი რისკი) დემოგრაფიული და კლინიკური დახასიათება მოცემულია ცხრილ 1-ში. როგორც ცხრილიდან და დიაგრამა 1-დან ჩანს I-III სტადიის ჰიპერტენზია (JNC VI) აღმოაჩნდა კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტს (64%); მისი პრევალენტობა მაღალია ორივე სქესის წარმომადგენლებში.

შაქრიანი დიაბეტი აღმოაჩნდა მონაწილეთა 8,6% და უფრო ხშირია მამაკაცებში (12%), ვიდრე ქალებში (7%).

საერთო ქოლესტეროლის დონის მიხედვით (იხ. ცხრილი 1, დიაგრამა 2) საყურადღებოა, რომ 200 მგ%-ზე მაღალი მაჩვენებელი აღმოაჩნდა კვდ-ის პირველადი რისკის პოპულაციაში დაახლოებით ნახევარს (50.2%), როგორც ქალებს (53.4%), ასევე მამაკაცებს (42.8%). 240მგ%-ზე უფრო მაღალი საერთო ქოლესტეროლი გამოკვლეულთა 21%-ს ჰქონდა, კაცების 15.4%, ქალების 23.6%-ს. საერთო ქოლესტეროლის მაჩვენებლის დონის მიხედვით, დაყოფილ ჯგუფებში ქალებისა და მამაკაცების პროცენტული განაწილება იყო ერთგვაროვანი (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. კვდ რისკ ფაქტორების განაწილება პირველადი კვდ რისკის ქართულ პოპულაციაში

	საერთო რაოდენობა	კაცი	ქალი
	[n=900]	[n =273]	[n=627]
ასაკობრივი ჯგუფი. წ	40-70	40-70	40-70
საშუალო ასაკი, წ ± SD	53.6±8.82	54.9±8.97	53.0±8.70
წონა (კგ)	87.07±0.54	89.65±0.98	81.64±0.63
წელის გარშემოწერილობა (სმ)	103.2±0.49	106.2±0.85	101.9±0.59
სისტოლური არტერიული წნევა (მმ.ვწ.სვ) სისტოლური	138.6±0.83	141.1±1.57	137.6±0.97
დიასტოლური არტერიული წნევა (მმ.ვწ.სვ)	85.7±0.46	88.32±0.89	84.6±0.54
მწეველობის სტატუსი (%)			
მწეველი (%)	11.9% (107)	37.4% (102)	0.8% (5)
არამწეველი (%)	88.1% (793)	62.6% (171)	99.2% (622)
გლუკოზა (უზმოზე) მმოლ/ლ	5.39±0.06	5.52±0.11	5.33±0.07
შაქრიანი დიაბეტი (რაოდენობა/%)	77/8.6%	33/12.1%)	44/7.0%
სისხლის წნევა (რაოდენობა) სისტოლური დიასტოლური			
ოპტიმალური <120 <80	147 (16.1%)	36 (13.1%)	111 (17,7%)
ნორმა 120 -129 80-84	145 (14.2%)	40 (14,6%)	105 (16,7%)
ნორმის ზედა ზღვარი 130 -139 85-89	128 (27.3%)	42 (15,4%)	86 (13,7%)
ჰიპერტენზია (სტადია I) 140 -159 90-99	246 (27.3%)	79 (28,9%)	167 (26,6%)
ჰიპერტენზია (სტადია II) 160 -179 100-109	150 (16.7%)	39 (14,3%)	111 (17,7%)
ჰიპერტენზია (სტადია III) >180 >110	84 (9.3%)	37 (13,5%)	47 (7,5%)
საერთო ქოლესტეროლი (მმოლ/ლ)	5.29±0.04	5.10±0.07	5.37±0.05
საერთო ქოლესტეროლი (%/ რაოდენობა)			
< 160 mg/dL (< 4.13 mmol/L)	17.8% (160)	20.9% (57)	16.4% (103)
160-199 mg/dL (4.13-5.14 mmol/L)	32.0% (288)	36.3% (99)	30.1%(189)
200-239 mg/dL (5.17-6.18 mmol/L)	28.9% (260)	26.7% (73)	29.8%(187)
240-279 mg/dL (6.20-7.21 mmol/L)	14.8% (133)	13.2% (36)	15.5% (97)
≥ 280 mg/dL (≥ 7.23 mmol/L)	6.5% (59)	2.9% (8)	8.1% (51)

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, სიგარეტის მოხმარება ჭარბობდა მამაკაცებში. კვდ-ის პირველადი რისკის მქონე შესწავლილ პირებში მაღალია აბდომინალური სიმსუქნის (გაზომილი წელის გარშემოწერილობით) საშუალო მაჩვენებელი. ზოგადად, მთლიან (შესწავლილი 1196 პირზე) პოპულაციაში ხშირია როგორც ჭარბი წონა და სიმსუქნე განსაზღვრული სხეულის მასის ინდექსით, ასევე აბდომინალური სიმსუქნე (დიაგრამა 3). საქართველოს მოსახლეობაში განსაკუთრებით მაღალი აღმოჩნდა აბდომინალური სიმსუქნის პრევალენტობა. 59,3% მამაკაცებში და 81,8% ქალებში (ცხრილი 1, დიაგრამა 4). ეს მით უფრო საყურადღებოა, რამდენადაც შესწავლილი პოპულაციის 86% კლასიფიცირდება როგორც დაბალი კვდ რისკის მქონე (იხ. ქვემოთ ცხრილი 2).

ამგვარად, ორივე სქესის მონაწილეთა ნახევარს ჰქონდა I-III სტადიის ჰიპერტენზია და ასევე, მომატებული საერთო ქოლესტროლი. ჰიპერტენზიისა და შაქრიანი დიაბეტის პრევალენტობა ორივე სქესში იმატებდა ასაკის მატებასთან ერთად.

ასევე მაღალია თამბაქოს მოხმარების მაჩვენებელი; ხშირია ჭარბი წონა და აბდომინალური სიმსუქნე, როგორც კვდ-ის პირველადი რისკის ჯგუფებში, ასევე მთლიანად პოპულაციაში. კვდ-ის პირველადი რისკის მიხედვით პოპულაციის დახასიათებისთვის მნიშვნელოვანია შაქრიანი დიაბეტის და ჰიპერტენზიის პრევალენტობის დამოკიდებულება ასაკთან მიმართებაში.

შაქრიანი დიაბეტის პრევალენტობა იზრდებოდა ასაკთან ერთად. ქალებში ეს დამოკიდებულება იყო სწორხაზოვანი, თუმცა მამაკაცებში მნიშვნელოვნად იმატებდა 60-64 წ.წ. ასაკოვან ჯგუფში (იხ. ცხრილი 1, გრაფიკი 2).

ჰიპერტენზიის პრევალენტობა ასაკის მიხედვით პირველადი კვდ რისკის მქონე ქართული პოპულაციის ქალებსა და მამაკაცებში ნაჩვენებია გრაფიკ 3-ზე.

დიაგრამა 1. არტერიული წნევის მაჩვენებლის გადანაწილება საკვლევ პოპულაციაში



დიაგრამა 2. საერთო ქოლესტეროლის მაჩვენებლის გადანაწილება საკვლევ პოპულაციაში



დიაგრამა 3. პოპულაციის გადანაწილება სხეულის მასის ინდექსის მიხედვით



დიაგრამა 4. აბდომინალური სიმსუქნის პრევალენტობა საკვლევ პოპულაციაში



გრაფიკი 2. შაქრიანი დიაბეტის პრევალენტობა ასაკის მიხედვით პირველადი კვდ რისკის მქონე ქართული პოპულაციის ქალებსა და მამაკაცებში



გრაფიკი 3. ჰიპერტენზიის პრევალენტობა ასაკის მიხედვით პირველადი კვდ რისკის მქონე ქართული პოპულაციის ქალებსა და მამაკაცებში



ამგვარად, შესწავლილ პოპულაციაში მაღალია კვდ წამყვანი რისკ ფაქტორების: არტერიული ჰიპერტენზია, ჰიპერქოლესტერინემია (ამ ფაქტორებს ითვალისწინებს კვდ-ის პირველადი რისკის შესაფასებელი კალკულატორიც), თამბაქოს მოხმარება, ჭარბი წონის/აბდომინალური სიმსუქნის პრევალენტობა. საყურადღებოა, ასევე ასაკთან მიმართებაში შაქრიანი დიაბეტისა და არტერიული ჰიპერტენზიის პრევალენტობის მატების თავისებურება ქართულ პოპულაციაში.

1.1.2. კვ რისკის შეფასება საქართველოს მოსახლეობაში WHO/ISH რისკის შეფასების სისტემის მიხედვით

შემდგომ ეტაპზე მოხდა საკვლევი პოულაციის 10 წლიანი კარდიოვასკულური რისკის განსაზღვრა WHO/ISH რისკის ცხრილების მიხედვით. ამ სისტემაში არის დაბალი <10%, საშუალო 10% დან <20% მდე, მაღალი 20%-დან <30%მდე და ძალიან მაღალი 30%-დან 40%მდე და ზემოთ (≥40%) 10 წლიანი ფატალური ან არაფატალური კარდიოვასკულური დაზიანების განვითარების რისკი, რომელიც ფასდება სქესის, ასაკის, სისტოლური წნევის, საერთო ქოლესტეროლის, მწეველობის სტატუსის და შაქრიანი დიაბეტის არსებობის მიხედვით; შესწავლილ პოპულაციაში რისკების განაწილება მოცემულია ცხრილი 2-ში.

ცხრილი 2. ჯანმო/ჰსს რისკ-ჯგუფებში ქართული პოპულაციის პირველადი კვდ რისკის მქონე პირთა გადანაწილება

%	<10%	10%-20%	20%-30%	30%-40%	≥40%
საერთო რაოდენობა	773	57	47	4	19
მამაკაცი	216	26	20	4	7
ქალი	557	31	27	-	12

პოპულაციის დაჯგუფება დაბალი (<10%), საშუალო (10% to 20%) და მაღალი (>20%) რისკის კატეგორიებში მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3. ქართული პოპულაციის პირველადი კვდ რისკის მქონე ქალებისა და მამაკაცების გადანაწილება დაბალი (<10%), საშუალო (10% - 20%) და მაღალი (>20%) რისკის კატეგორიებში

%	<10%	10%-20%	>20%
საერთო რაოდენობა	773 (86%)	57 (7.4%)	70 (9.1%)
მამაკაცი	216 (79%)	26 (12%)	31 (14.4%)
ქალი	557 (88%)	31 (5.6%)	39 (7.1%)

როგორც ცხრილიდან ჩანს, მამაკაცების 14,4% და ქალების 7,1% განაწილდა 10 წლიანი ფატალური და არაფატალური კარდიოვასკულური დაზიანების მაღალ და ძალიან მაღალ რისკის კატეგორიაში. მამაკაცების 12% და ქალების 5,6% აღმოჩნდა საშუალო რისკის ჯგუფში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილში 4 მოცემულია საშუალო და მაღალი რისკის მქონე საკვლევ პირთა დისტრიბუცია, მიზანმიმართულად იმის დემონსტრირებისთვის, რომ „საშუალო„ რისკის ჯგუფში რჩება პირთა მაღალი % (45%); ამასთან ეს, როგორც წესი, არის ყველაზე უფრო საყურადღებო ჯგუფი შემდეგი მიზეზების გამო: 1. ამ ჯგუფში მოხვედრილთა დიდი ნაწილი შემდგომ რეკლასიფიცრდება კვდ რისკის სხვა ჯგუფში და 2. განსაკუთრებით, დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში, მათ მიმართ ექიმის მიერ გატარებული სამკურნალო-პრევენციული ღონისძიებები „ნაკლებია“, ვიდრე მაღალი რისკის მქონეთა შემთხვევაში.

ცხრილი 4. ქართული პოპულაციის >10% პირველადი კვდ რისკის მქონე ქალებისა და მამაკაცების გადანაწილება საშუალო (10% - 20%) და მაღალი (>20) რისკის კატეგორიებში

%	10%-20%	>20%
საერთო რაოდენობა	57 (45%)	70 (55,6%)
მამაკაცი	26 (45,6%)	31 (54.4%)
ქალი	31 (44,3%)	39 (55,8%)

საშუალო რისკის მქონე კატეგორიაში მოხვედრილ პირთა რისკ ფაქტორების დახასიათება (WHO/ISH რისკის განსასაზღვრი ცხრილები გათვალისწინებული, ასევე შემდეგი წონის და აბდომინალური სიმსუქნის (განსაზღვრული წელის გარშემოწერილობა) მაჩვენებელი, დამატებითი რისკის გამოხატვისთვის, მოცემულია ცხრილებში 5 და 6; სადაც ცხრილი 5 ახასიათებს ქვეჯგუფს შაქრიანი დიაბეტის გარეშე, ხოლო ცხრილი 6 ახასიათებს ქვეჯგუფს, ვისაც დასმული აქვს შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზი.

ცხრილი 5. რისკ ფაქტორების გადანაწილება საშუალო რისკის კატეგორიში შაქრიანი დიაბეტის გარეშე

	საერთო რაოდენობა	მამაკაცი	ქალი
	[n=44]	[n =20]	[n=24]
ასაკობრივი ჯგუფი (წ)	42-70	42-70	45-70
საშუალო ასაკი (წ)	57.27±1.20	56.60±1.80	57.00±1.63
სიმაღლე (სმ)	166.11±1.79	174.15±1.88	159.42±2.05
წონა (კგ)	86.25±2.37	86.35±3.59	86.17±3.23
წელის გარშემოწრილობა (სმ)	106.9±1.95	104.0±3.05	109.4±2.47
სისტოლური არტერიული წნევა (მმ.ვწ.სვ)	168.86±3.10	164.63±3.86	172.40±4.65
დიასტოლური არტერიული წნევა (მმ.ვწ.სვ)	99.55±2.17	97.38±3.14	101.35±3.01
გლუკოზა (უზმოზე) მმოლ/ლ	5.27±0.12	5.28±0.17	5.28±0.16
საერთო ქოლესტეროლი მმოლ/ლ	6.22±0.27	5.72±0.45	6.64±030

ცხრილი 6. რისკ ფაქტორების გადანაწილება საშუალო რისკის კატეგორიაში შაქრიანი დიაბეტით

	საერთო რაოდენობა	მამაკაცი	ქალი
	[n=13]	[n =6]	[n=7]
ასაკობრივი ჯგუფი (წ)	42-70	45-70	42-70
საშუალო ასაკი (წ)	60.31±1.92	59.17±3.07	62.29±2.57
სიმაღლე (სმ)	166.77±2.91	173.50±3.24	161.00±3.46
წონა (კგ)	86.13±7.43	79.95±15.06	91.43±5.78
წელის გარშემოწერილობა (სმ)	113.0±5.22	112.2±10.9	111.7±3.98
არტერიული წნევა (mmHg)			
სისტოლური	145.6±4.94	142.08±8.52	148.57±5.94
დიასტოლური	91.15±3.76	90.83±6.54	90.00±5.64
გლუკოზა (უზმოზე) მმოლ/ლ	9.50±0.68	9.94±1.40	9.12±0.49
საერთო ქოლესტეროლი (მმოლ/ლ)	5.77±0.43	5.73±0.87	5.80±0.40

შესაბამისი ცხრილებიდან ჩანს, რომ ისეთი რისკ ფაქტორების საშუალო მაჩვენებლები, როგორიც არის არტერიული წნევის ციფრები, აბდომინალური სიმსუქნე და საერთო ქოლესტეროლი, კვდ საშუალო რისკის კატეგორიის პირებში შაქრიანი დიაბეტის გარეშე, არ არის გაკონტროლებული (იხ. ცხრილი 5). ამავე რისკის კატეგორიის (საშუალო რისკი) დიაბეტიან პირებში, ასევე, არ კონტროლდება გლუკოზის მაჩვენებლები, სიმსუქნე და არტერიული წნევის ციფრებიც შორს არის სამიზნე მაჩვენებლებისგან (იხ. ცხრილი 6).

ამგვარად, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კვდ-ის 10 წლიანი ფატალური და არაფატალური გართულებების დაბალი რისკი (WHO/ISH რისკის განაწილების მიხედვით) აქვს მოსახლეობის მხოლოდ ≈86%-ს. დანარჩენ პოპულაციაში (საშუალო და მაღალი რისკის) მნიშვნელოვანი წილი (≈45%) საშუალო ჯგუფის რისკის ჯგუფში

ხვდება და ამ პირთა ჯგუფის მნიშვნელოვან ნაწილში კვდ-ისთვის კარდინალური რისკ-ფაქტორები არ/ცუდად კონტროლდება.

1.2. კარდიოვასკულური რისკების დამოკიდებულება სოციალურ - ეკონომიკურ ფაქტორებზე საქართველოს მოსახლეობაში

ქართულ პოპულაციაში სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებზე კვდ-ის რისკების დამოკიდებულების შესასწავლად გაანალიზდა ჯვარედინსექციური კვლევის შედეგად შეგროვილი 1196 ინდივიდის მონაცემები. მეთოდოლოგია აღწერილია შესაბამის ქვეთავში (იხ. კვლევის მასალა და მეთოდები). ცხრილი 7-ში აღწერილია საკვლევი პოპულაციის სოციალურ-დემოგრაფიული დახასიათება. საშუალო ასაკი 55 წელი (ინტერვალი 40-70) და აქედან 788 (65,9%) იყო ქალი.

შესწავლილი პოპულაციის უმრავლესობის (65.8%) მინიმუმ 3 წევრისგან შედგება; უმრავლესობას (49.2%) აქვს საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლება, უმაღლესი განათლება აღმოაჩნდა 468 (39,2%); მათი უმრავლესობა (30.8%) მისდევს ფერმერულ სამუშაოს; დაბალია დასაქმების (საჯარო, კერძო) მაჩვენებელი; 27% პენსიონერია და შესაბამისად დაბალ შემოსავლიანია (საქართველოში პენსია სამომხმარებლო კალათაზე დაბალია). 227 (19%) იყო ოფიციალურად დაუსაქმებელი. 30$-ზე ნაკლები შემოსავალი ქონდა 163 (13,6%) მონაწილეს.

ცხრილი 7. საკვლევი პოპულაციის დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება

მახასიათებელი	**საშუალო მაჩვენებელი (ინტერვალი)**
ასაკი (წელი)	54,9 ±8,97
სქესი	**რიცხვი (%)**
მამაკაცი	407 (34.1)
ქალი	788 (65,9%)
ოჯახის წევრების რაოდენობა	**რიცხვი (%)**
≤ 2	280 (23,4)
3	786 (65,8)
>3	129 (10,8)
განათლება	**რიცხვი (%)**
8-კლასი და ნაკლები	139 (11,6)
საშუალო და საშუალო პროფესიული	588 (49.2)
უმაღლესი	468(39,2)
დასაქმება	**რიცხვი (%)**
უმუშევარი	227(19)
პენსიონერი	323(27%)
გლეხი/ფერმერი	368 (30,8)
საჯარო სასახური	125(10,5)
კერძო სექტორში დასაქმებული	152 (12,7)
შემოსავალი	**რიცხვი (%)**
<30 USD	163 (13,6)
30 USD	274 (22,9)
60 USD	259 (21,7)
120 USD	280 (23,4)
>120 USD	219 (18,3)
გადაადგილების საშუალების საკუთრებაში ფლობა	**რიცხვი (%)**
კი	188 (15,7)
არა	1007 (84,3)

კვდ-ის რისკების სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე დამოკიდებულების შესასწავლად მოხდა მთლიან საკვლევ პოპულაციაში კვდ-ის რისკ-ფაქტორთა პრევალენტობის (ცხრილი 8), ასევე მთლიანი პოპულაციის (პირველადი რისკის ჯგუფებსა და მანიფესტირებული კვდ-ით პირები) კვდ-ისთან დამოკიდებულების ანალიზი (ცხრილი 9).

კარდიოდიოვასკულური რისკების გადანაწილება აღწერილია ცხრილი 8-ში. 361 (30,2%) მონაწილე იყო ჭარბწონიანი და 669 (56,0%) იყო მსუქანი. აბდომინალური სიმსუქნე დაფიქსირდა 966 (80,8%) მონაწილეში. ჰიპერქოლესტეროლემია აღმოაჩნდა 625 (52%) მონაწილეს. უზმოზე ჰიპერგლიკემია ქონდა 225 (18,8%) ინდივიდს. JNC კლასიფიკაციის მიხედვით, I და II სტადიის ჰიერტენზია დაფიქსიდა შესაბამისად 331 (27,7%) და 399 (33,4%) შემთხვევაში. თამბაქოს მოხმარება დაადასტურა მხოლოდ 118 (9,9%) მონაწილემ.

ცხრილი 8. კარდიოვასკულური რისკ ფატორების პრევალენტობა საერთო საკვლევ პოპულაციაში

მახასიათებელი	**რიცხვი (%)**
BMI*	
ნორმა	165 (13,8%)
ჭარბი წონა	361 (30,2%)
სიმსუქნე	669 (56,0%)
WHR ** [13,16,20-22,24]	
ნორმა	229 (19,2)
აბდომინალური სიმსუქნე	966 (80,8)
მწეველობა	**რიცხვი (%)**
კი	118 (9,9)
არა	1077 (90,1)
გლიკემია უზმოდ	**რიცხვი (%)**
≤6.1 mmol/l	970 (81,2)
≥6.1 mmol/l	225 (18,8)
საერთო ქოლესტეროლი	

<5.2 mmol/l	574 (48)
≥5.2 mmol/l	621 (52)
არტერიული წნევა	**რიცხვი (%)**
ნორმა	157 (13,1%)
პრეჰიპერტენია	308 (25,8%)
ჰიპერტენზისს I სტადია	331 (27,7%)
ჰიპერტენიის II სტადია	399 (33,4%)

*BMI =სხეულის მასის ინდექსი **WHR = წელისა და თეძოს გარემოწერილობის თანაფარდობა

მთლიანი საკვლევი პოპულაციის განაწილება კვდ-ისა (მანიფესტირებული) და კვდ-ის განვითარების პირველადი რისკის ჯგუფებში განაწილების მიხედვით მოცემულია ცხრილში 9.

WHO/ISH კარდიოვასკულური რისკის კლასიფიკაციის ცხრილების მიხედვით, კვლევის 773 (58.7%) მონაწილეს ჰქონდა <10% 10-წლიანი კარდიოვასკულური რისკი; 57 (5.4%) ჰქონდა<20% რისკი; 70 (7.1%) ჰქონდა რისკი ≥20%. დადასტურებული კვდ 300 (28.8%).

ცხრილი 9. საკვლევი პოპულაციის განაწილება კვდ-ისა (მანიფესტირებული) და კვდ-ის განვითარების პირველადი რისკის ჯგუფებში

მახასიათებელი	**რიცხვი (%)**
<10%	773 (58,7)
10% to <20%	57 (5,4)
≥20%	70 (7,1)
დადასტურებული კარდიოვასკულური დაავადება	300 (28,8)
გულის იშემიური დაავადება	194 (16,2)
ცერებროვასკულური დაავადება	90 (7,5)
პერიფერიული ვასკულური დაავადება	115 (9,6)

ამ ცხრილში ასევე მოცემულია დიაგნოსტირებული კარდიოვასკლური დაავადებების გადანაწილება საკვლევ პოპულაციაში. გულის იშემიური დაავადება დიაგნოსტირდა 194 (16,2%) მონაწილეში; 90 (7,5%) მონაწილეს ქონდა დადასტურებული ცერებროვასკულური დაავადება და 115 (9,6%) მონაწილეს აღმოაჩნდა დადასტურებული პერიფერიული ვასკულური დაავადება.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ განათლების დაბალი დონე (დაზუსტებული რისკის თანაფარდობა aOR 2,85, ნდობის ინტერვალი CI 95% 1,57-5,17), სიმსუქნე (aOR 2,13, 95% CI 1,16-3,92) და აბდომინალური სიმსუქნე (aOR 2,21, 95% CI 1,26-3,87) სტატისტიკურად მნიშვნელოვნადაა ასოცირებული 10%-ზე მეტ 10 წლიან ფატალურ/არაფატალურ კარდიოვასკულურ დაავადებებთან (ცხრილი 10).

ცხრილი 10. 10%-ზე მეტი 10 წლიანი ფატალური და არაფატალური კარდიოვასკულური დაზიანების რისკ ფაქტორების ბინარული მრავლობითი ლოჯისტიკურ-რეგრესიული ანალიზი (WHO/ISH კარდიოვასკულური რისკ-ჯგუფების მიხედვით)

მახასიათებელი	**დაზუსტებული რისკის თანაფარდობა aOR (95%CI)**
ოჯახის წევრების რაოდენობა	
2-ზე მეტი	1
2 ან ნაკლები	0.94 (0.65, 1.45)
განათლების დონე	
უმაღლესი	1
8 კლასი და ნაკლები	**2.85 (1.57, 5.17)**
საშუალო და საშუალო პროფესიული	1.51 (0.98, 2.32)
ყოველთვიური შემოსავალი	
30 USD ან ნაკლები	1
60 USD	0.84 (0.52, 1.35)
120 USD ან მეტი	0.69 (0.45, 1.08)

გადაადგილების საშუალების საკუთრებაში ფლობა	
არა	1
კი	0.77 (0.44, 1.38)
BMI	
ნორმა	1
ჭარბწონიანი	1.32 (0.67, 2.60)
მსუქანი	**2.13 (1.16, 3.92)**
წელისა და თეძოს გარშემოწერილობის თანაფარდობა	
ნორმა	1
აბდომინალური სიმსუქნე	**2.21 (1.26, 3.87)**

რაც ასევე დადასტურდა კვდ რისკ ფაქტორების შესახებ მონაცემთა ბინარული მრავლობითი ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზით, შედეგები ნაჩვენებია ცხრილ 11-ში.

ცხრილი 11. კარდიოვასკულური დაავადებების რისკ-ფაქტორების ბინარული მრავლობითი ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზი

მახასიათებელი	**დაზუსტებული რისკის თანაფარდობა aOR (95%CI)**
ოჯახის წევრების რაოდენობა	
2 -ზე მეტი	1
2 ან ნაკლები	1.05 (0.78, 1.42)
განათლების დონე	
უმაღლესი	1
8 კლასი და ნაკლები	**2.21 (1.44, 3.38)**
საშუალო და საშუალო პროფესიული	**1.52 (1.12, 2.05)**
ყოველთვიური შემოსავალი	
30 USD ან ნაკლბი	1
60 USD	0.98 (0.70, 1.37)
120 USD ან მეტი	**0.73 (0.54, 1.00)**

გადაადგილების საშუალების საკუთრება	
არა	1
კი	1.01 (0.69, 1.48)
BMI	
ნორმა	1
ჭარბი წონა	**1.68 (1.07, 2.63)**
სიმსუქნე	**1.58 (1.04, 2.41)**
წელის და თეძოს გარშემოწ. თანაფარდობა	
ნორმა	1
აბდომინალური სიმსუქნე	**1.43 (1.01, 2.03)**

ამგვარად კვლევის შედეგებით აღმოჩნდა რომ, კვდ-ის პირველადი და მეორადი რისკის პოპულაციაში განათლების დაბალი დონე (8-კლასი და ნაკლები aOR 2,21, 95% CI 1,44-3,38; საშუალო და საშუალო პროფესიული aOR 1,52, 95% CI 1,12-2,05); ჭარბი წონა (aOR 1.68, 95% CI 1.07 – 2.63); სიმსუქნე (aOR 1.58, 95% CI 1.04 – 2.41) და აბდომინალური სიმსუქნე (aOR 1.58, 95% CI 1.04 – 2.41), არის კარდიოვასკულური დაავადების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორები (იხ. ცხრილი 11).

გამოკვლევის შედეგების განხილვა

კვლევის შედეგად დადგინდა კარდიოვასკულური რისკების დისტრიბუცია საქართველოს მოსახლეობში და აღნიშნული კოჰორტა შეფასდა WHO/ISH რისკის ცხრილების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ძირითადი კარდიოვასკულური რისკების გადანაწილება იყო შემდეგი:

ა. ჰიპერტენზია - I-III სტადიის ჰიერტენზია (JNC-VI მიხედვით), აღმოაჩნდა მონაწილეთა ≈64%, ჰიპერტენზიის პრევალეტობა ქალებსა და მამაკაცებში იზრდება ასაკის მიხედვით; ჰიპერტენზიის ასეთი მაღალი პრევალენტობა შესაძლოა განპირობებული იყოს ფსიქოსოციალური გარემო ფაქტორებით (ორი ეთნიკური კონფლიქტის ზონა, შეიარაღებული კონფლიქტები, ბოლო ორი დეკადის

განმავლობაში განვითარებული გეოპოლიტიკური ცვლილებები, სიღარიბის ხარისხის მატება). ასევე, განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებული სხვადასხვა კვლევის თანახმად, ჰიპერტენზიული პაციენტების მხოლოდ 12,5% იღებს ჰიპეტენზიის ადექვატურ კონტროლს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, საქართველოს მოსახლეობაში არტერიული წნევის კონტროლი შესაძლოა იყოს ამ მაჩვენებელზე დაბალი.

ბ. შაქრიანი დიაბეტი - დიაბეტთან ერთად იგულისხმება მასთან ასოცირებული მიკროვასკულური დაზიანებების არსებობა და 2-4-ჯერ მომატებული კარდიოვასკულური რისკი. კველვის შედეგების მიხედვით, მონაწილეთა 8,6% აღმოაჩნდა მომატებული გლუკოზის კონცენტრაცია უზმოდ. დიაბეტის პრევალენტობა მეტი იყო მამაკაცებში (12%), ვიდრე ქალებში (7%). ასაკის მიხედვით პრევალენტობა აჩვენებს, რომ ქალებში ურთიერთდამოკიდებულება თანაბრად სწორხაზოვანია, ხოლო მამაკაცებში მკვეთრად იზრდება გარკვეულ ასაკოვან ჯგუფებში (13,3% 45-49წწ. ასაკოვან ჯგუფში და 26,7% 60-64წწ. ასაკოვან ჯგუფში).

გ. აბდომინალური სიმსუქნე - მნიშვნელოვანი კარდიოვასკულური რისკ-ფაქტორია და ადრეული ინტერვენცია საკმარისად ცვლის გამოსავალს. კვლევის შედეგების მიხედვით, აბდომინალრი სიმსუქნე აღმოაჩნდა მონაწილეთა 59,34% მამაკაცებში და 81,82% ქალებში. ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ აბდომინალური სიმსუქნის პრევალენტობა განსაკუთრებით მაღალია საქართველოს მოსახლეობაში და განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სიმსუქნის მაჩვენებელი იზრდება მოზარდებსა და ახალგაზრდებში და ასოცირებულია არტერიების კედლის სტრუქტურის ცვლილებასთან. ამიტომ, ამ რისკის პრევენციისთვის, მნიშვნელოვანია ასეთი პაციენტებისადმი კომპლექსური მიდგომა.

დ. მომატებული ქოლესტეროლი და თამბაქოს მოხმარება - ჰიპერქოლესტეროლემიის (>200 მგ/დლ) პრევალენტობა აღმოჩნდა მაღალი (≈50%), მათ შორის მამაკაცების 42,8% და ქალების 53,4%-ში. ხოლო სიგარეტის მოხმარება ჭარბობდა მამაკაცებში (37,4%)

ქალებთან შედარებით(0,8%). სიგარეტის მოხმარება მაღალია ქალებშიც, თუმცა საკვლევ ასაკობრივ ჯგუფში (40-70 წწ), საქართველოში ქალები ნაკლებად ეწევიან, ან ეწევიან და ამის შესახებ განცხადებას არ აკეთებენ ტრადიციული შეხედულებებიდან გამომდინარე.

საკვლევი პოპულაციის შეფასება WHO/ISH რისკის ცხრილების მიხედვით - აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა დიდი ნაწილი, მათ შორის დიაბეტიანი ინდივიდებიც, მოხვდნენ დაბალი რისკის (<10%) ჯგუფში, ხოლო დანარჩენი (≈45%) გადანაწილდა საშუალო, მაღალ და ძალიან მაღალი რისკის ჯგუფებში.

მოცემული შედეგების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ კარდიოვასკულური რისკის შეფასება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, ყველა რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით და მხოლოდ ფრამინგემის რისკის შკალა, მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრავს ძირითად რისკ -ფაქტორებს, არ არის საკმარისი და სრულად მორგებული ყველა ეთნიკური, თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლისთვის. მნიშვნელოვანია მისი ვალიდაცია სხვადასხვა პოპულაციებში და ისეთი რისკ-ფატორების გათვალისწინება, რომელიც აღნიშნული სისტემით არ იფარება და უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევს მკვლევარებში. ეს კი მნიშვნელოვნად დაეხმარება პირველადი რგოლის ექიმებს და ჯანდაცვის სისტემებს უკეთ მორგებული და ხარჯთ-ეფექტური მიდგომის განვითარებაში.

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებიდან, კარდიოვასკულური დაავადებების განვითარებასთან ყველაზე მნიშვნელოვნად ასოცირებული აღმოჩნდა ინდივიდის განათლების დონე და არა შემოსავალი. 10%-ზე მეტი 10 წლიანი ფატალური ან არაფატალური კარდიოვასკულური რისკი 2,85-ჯერ მომატებული აქვთ 8 კლასის და ნაკლები განათლების მქონე ინდივიდებს, ხოლო საშუალო და საშუალო პროფესიული განათლების მქონე ინდივიდებს - 1,51-ჯერ. ასევე, სიმსუქნე და აბდომინალური სიმსუქნე აღმოჩნდა შესაბამისად, 2,13-ჯერ და 2,21 ჯერ პრევალენტური იგივე პოპულაციაში, ხოლო შემოსავალი, ან სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის

განმსაზღვრელი სხვა რომელიმე კომპონენტი არ აღმოჩნდა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი. საკვლევი პოპულაციის ბინარულმა მრავლობითმა ლოჯისტიკურ-რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ კარდიოვასკულური დაავადებების განვითარების რისკი მომატებული აქვს დაბალი განათლების მქონე პოპულაციას (8 კლასის და ნაკლები განათლების მქონეებს 2,21-ჯერ, ხოლო საშუალო და საშუალო პროფესიული განათლების მქონეთ 1,52-ჯერ) და ასევე იმ ინდივიდებს, ვისაც აქვს ჭარბი წონა/ სიმსუქნე და აბდომინალური სიმსუქნე (შესაბამისად, 1,58/1,68-ჯერ და 2,21-ჯერ).

წინამორბედმა (სხვა პოპულაციურ ჯგუფებზე ჩატარებულმა კვლევებმა, ჩვენი კვლევის მსგავსად, მკაფიოდ გამოავლინა სოციალურ-ეკონომიკური გრადიენტის მნიშვნელობა კარდიოვასკულური დაავადებების დროს. კაილანდერმა და მისმა კოლეგებმა გამოიკვლიეს 2301 50 წლის მამაკაცი შვედეთში, უფსალაში. მათ შეაფასეს საკვლევი კონტიგენტის განათლება, არტერიული სისხლის წნევა, გლიკემია, სხეულის მასის ინდექსი (BMI), შრატის ლიპიდების შემცველობა, მწეველობის სტატუსი, ცხიმოვანი მჟავებისა და ანტიოქსიდანტების რამოდენიმე ბიომარკერი და შეისწავლეს მათი სიკვდილობა და მისი მიზეზები 25 წლის შემდეგ. განათლების დაბალი დონე ასოცირდებოდა მაღალ კარდიოვასკულურ და ონკოლოგიურ სიკვდილობასთან, მაღალი განათლების მქონე ინდივიდებთან შედარებით. ასევე, ელისონ ბუშამპმა თავის ჯგუფთან ერთად გამოიკვლია ასოციაცია განათლების დონესა და კარდიოვასკულურ სიკვდილობას შორის და ისეთი ქცევითი, სოციალური და ფიზიოლოგიური ფაქტორების წილი, რომელიც სავარაუდოდ ასოცირებული იყო კარდიოვასკულურ სიკვდილობასთან. საკვლევი პოპულაცია იყო 38 355 მელბურნში მცხოვრებ მოზრდილი ადამიანი, ასაკოვანი ინტერვალით 40-69 წლამდე. ისინი მონიტორირებული იყვნენ საშუალოდ 9,4 წლის განმავლობაში და განხილული იქნა რამდენად იყო მათი სიკვდილობა დაკავშირებული კარდიოვასკულურ მიზეზებთან. კარდიოვასკულური სიკვდილობა განსაკუთრებით მაღალი იყო განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის მქონე იდივიდებში, მესამე საფეხურის განათლების

მქონე პირებთან შედარებით. რისკ ფაქტორების ჭრილში, ყველაზე საყურადღებო აღმოჩნდა მწეველობის სტატუსი და წელის გარშემოწერილობა, რაც იყო ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სხვადასხვა განათლების მქონე ჯგუფებს შორის. ამგვარად, ევროპის სივრცეში და ავსტრალიაში ჩატარებული მინიმუმ 2 კვლევის შედეგები ჩვენი კვლევის შედეგების შესაბამისია.

